ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

N 48 36
30/04/2019

36-48-4-201904301207

“ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ” ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის N48 11 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს კანონი ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“- ს 63-ე მუხლის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა :

1. შეტანილ იქნას ცვლილება „ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 თებერვლის N48 11 განკარგულებაში და პირველი მუხლით დამტკიცებული ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დანართს დაემატოს შემდეგი დასახელების ქონება:
   - ალუმინის ჯართი 2300 კგ. ქონების ფასი 5750 ლარი;
   - შავი თუნუქის ჯართი 500 კგ. ქონების ღირებულება 175 ლარი;
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.(ი. ლომთაძე).
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით.
4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

ნატალია კობახიძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო